საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ი. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.07.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 093/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. ფ.-ს მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ფ.-ს ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2018 წლის 23 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ი. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. ფ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის როგორც იურიდიული ოფისის შპს ,,-----ის“ ხელმძღვანელთან, ადვოკატმა თ. ფ.-მ შეახვედრა ერთ-ერთი მსჯავრდებული პირის დედასთან, რომელიც შემდეგ გახდა შპს „-----ის” კლიენტი და მათ შორის გაფორმდა მომსახურების

ხელშეკრულება. თ. ფ.-ის მიერ მოყვანილმა კლიენტმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების ნახევრის ჩარიცხვის შემდეგ, ადვოკატმა თ. ფ.-მ საჩივრის ავტორს მოსთხოვა კლიენტის მიერ ჩარიცხული თანხის ნახევარი - კლიენტის მიყვანისათვის, რაზეც მან ადვოკატ თ. ფ.-ს განუცხადა უარი. ადვოკატი თ. ფ., უარის მიღების შემდეგ დაემუქრა საჩივრის ავტორს, რომ მასთან მიყვანილ კლიენტს ისევ წინა ადვოკატთან წაიყვანდა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მისთვის ამ მუქარის შემდეგ გახდა ცნობილი იმ ფაქტის შესახებ, რომ თ. ფ.-მ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის კლიენტი შპს „-----ში" მოტყუებით მიიყვანა, თანხის შოვნის მიზნით. ამ ინფორმაციის საფუძველზე საჩივრის ავტორმა შეწყვიტა ხელშეკრულება ადვოკატ თ. ფ.-ის მიერ მოყვანილ კლიენტთან და გადაცემული თანხა უკან დაუბრუნა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის დააკავეს 2017 წლის 6 თებერვალს, რა დროსაც თ. ფ. ასრულებდა საჩივრის ავტორის წარმომადგენლობას. ადვოკატმა თ. ფ.-მ საჩივრის ავტორის მეუღლისაგან ჰონორარის სახით მიიღო 3000 ლარი, რომელიც არ დაუბრუნებია.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით მისთვის ცნობილი გახდა, რომ ადვოკატმა თ. ფ.-მ სამართალდამცავ ორგანოს მის მიმართ მიაწოდა არასწორი ინფორმაცია და მისცა მისი საწინააღმდეგო ჩვენება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა თ. ფ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2018 წლის 21 აგვისტოს. ადვოკატის განმარტებით ი. კ.-ის მიერ მოყვანილი გარემოებები არ შეესაბამება სიმართლეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, იგი 2016 წელს იცავდა რ. ა.-ის ინტერესებს სააპელაციო სასამართლოში. რ. ა.-ს სურდა საპროცესო შეთანხმების გაფორმება, რასაც თავად - როგორც ადვოკატი ვერ ახერხებდა. ადვოკატის განმარტებით, მან მიმართა ი. კ.-ს, რომელმაც უთხრა რომ შეეძლო საპროცესო შეთანხმების გაფორმება. ამის საფუძველზე ადვოკატმა შეახვედრა ი. კ. და რ. ა.-ის დედა, რომლებიც შეთანხმდნენ ჰონორარზე.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ი. კ.-მ საპროცესო შეთანხმებას ვერ მიაღწია, რის გამოც მსჯავრდებულის დედამ საჩივარი შეიტანა მთავარ პროკურატურაში, ხოლო ადვოკატი დაიბარეს მოწმის სახით. ადვოკატის განმარტებით მან გააფრთხილა ი. კ., რომ კლიენტი აპირებდა პროკურატურაში საჩივრის შეტანას და ჰონორარის თანხა უკან დაებრუნებინა. თანხის დაბრუნების შემდეგ ადვოკატმა წაიყვანა მაკა შარაშიძე პროკურატურაში და უთხრა დაეწერა, რომ ი. კ.-მ თანხა დაუბრუნა და პრეტენზია მის მიმართ აღარ გააჩნია.

2.4 ადვოკატის განმარტებით ი. კ. დააკავეს სულ სხვა დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით. ი. კ.-ის დაკავების შემდეგ მას დაუკავშირდა ი. კ.-ის მეუღლე, ქეთევან ხომერიკი და სთხოვა ყოფილიყო მისი ქმრის ადვოკატი. ადვოკატის განცხადებით, ი. კ.-ს მომსახურებას უწევდა უსასყიდლოდ. ქეთევან ხომერიკმა დაახლოებით სამჯერ მისცა 100-100 ლარი, სულ 300 ან 400 ლარი, ეს იყო მეგობრული დახმარება და არა ჰონორარი, რადგან იმ პერიოდში ჰყავდა პატარა ბავშვი და არ მუშაობდა. ადვოკატი განმარტავს, რომ ი. კ.-ის ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედება არ განუხორციელებია.

2.5 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ მისი კლიენტის, რ. ა.-ის საქმე იყო სააპელაციო სასამართლოში და მას საპროცესო შეთანხმებას არ უფორმებდნენ. რადგან ირაკლის მეუღლე არის მისი ბავშვობის მეგობარი, ის იცნობდა ირაკლისაც და ერთმანეთს ურეკავდნენ კონსულტაციისთვის. ერთხელ, როდესაც მასთან სტუმრად იმყოფებოდნენ, ირაკლიმ განუმარტა, რომ შეეძლო პროკურატურასთან ეშუამდგომლა, რათა მისი კლიენტისათვის გაეკეთებინათ საპროცესო შეთანხმება. ის ი. კ.-სთან ერთად შეხვდა რ. ა.-ის დედას და შეთანხმდნენ კონკრეტულ პირობებზე. ჰონორარი, რომელიც რ. ა.-ის დედამ გადასცა ი. კ.-ს, ეკუთვნოდა ამ საქმეში ჩართულ სამივე ადვოკატს. თ. ფ.-ის განმარტებით, ი. კ.-მ კლიენტისაგან აღებული თანხა დანარჩენ 2 ადვოკატს არ გადასცა და აიღო მხოლოდ თავად. საპროცესო შეთანხმება ვერ გაფორმდა, შესაბამისად ი. კ.-მ კლიენტს თანხა უკან დაუბრუნა, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ. ამ საქმეზე რ. ა.-ის დედამ ი. კ.-ს უჩივლა პროკურატურაში, სადაც დაიბარეს თ. ფ.-ც, რადგან ის საქმეში ფიგურირებდა. ადვოკატი განმარტავს, რომ მან პროკურატურას მისცა ჩვენება იმასთან დაკავშირებით, როგორ დააკავშირა ერთმანეთთან რ. ა.-ის დედა და ი. კ..

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. ფ. არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 ი. კ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 23 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016 წლიდან 2017 წლის 15 სექტემბრამდე. შესაბამისად არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30.1 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია: ადვოკატმა თ. ფ.-მ საგამოძიებო ორგანოებს მისცა საჩივრის ავტორის საწინააღმდეგო ჩვენება და იმსჯელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის (აშსკ) 8.2 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას“

5.2 საპროცესო კოლეგიამ ი. კ.-ის საჩივარზე განახორციელა შემდეგი მოქმედებები: საჩივრის ავტორის წარმომადგენელთან 4 ჯერ დაინიშნა საპროცესო კოლეგიის სხდომა, ამის მიუხედავად,

კოლეგიისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, საჩივრის ავტორის წარმომადგენლის პოზიციის მოსმენა ვერ მოხდა. ამის შესახებ კოლეგიამ აცნობა უშუალოდ საჩივრის ავტორს და განუსაზღვრა ვადა საქმეზე მტკიცებულებათა წარმოსადგენად. საჩივრის ავტორს დამატებითი პოზიცია კოლეგიისათვის არ მოუწოდებია.

5.3 დებულების 30.1 მუხლის შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის მიერ ადვოკატის მიმართ დაიწყება დისციპლინური დევნა, თუ საქმეში წარმოდგენილი გარემოებების დადგენის შემთხვევაში, სავარაუდოა ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5-მე-9 მუხლებით ან „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ ნორმებით განსაზღვრული ადვოკატის პროფესიული ვალდებულების დარღვევა. შესაბამისად დისციპლინური დევნის აღსაძრავად, კუმულატიურად დაკმაყოფილებული უნდა იყოს ორი წინაპირობა:

ა) ადვოკატის ქმედება მისი დამტკიცების შემთხვევაში იყო დისციპლინური დარღვევა.

ბ) საპროცესო კოლეგიას უნდა შეექმნას ვარაუდი, რომ ადვოკატმა ეს ქმედება ჩაიდინა.

5.4 საპროცესო ეტაპზე მტკიცების სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე განხილვის ეტაპზე. ამ შემთხვევაში დგინდება ადვოკატის მიერ დისციპლინური ქმედების ჩადენა ან არ ჩადენა და მიიღება გადაწყვეტილება ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის თაობაზე. მიუხედავად საპროცესო ეტაპზე მტკიცების შედარებით დაბალი სტანდარტისა, დისციპლინური დევნის აღძვრისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ვარაუდი და ეს ვარაუდი უნდა იყოს დასაბუთებული.

5.5 უდავო გარემოებაა ის, რომ ადვოკატსა და ი. კ.-ს შორის წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. სადავოა, მისცა თუ არა ადვოკატმა ჩვენება სისხლის სამართლის საქმეში ან სხვა საქმეში, რომლითაც საფრთხე შეექმნებოდა მომავალში ი. კ.-ს ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას. დასაბუთებული ვარაუდის შექმნისთვის, რომ ადვოკატმა მართლაც განახორციელა ეს ქმედება, ვერ იქნება საკმარისი მხოლოდ საჩივრის ავტორის განმარტება, მითუმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც აღნიშნულს უარყოფს ადვოკატი. ამ შემთხვევაში დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად აუცილებელია წერილობითი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს ადვოკატის მიერ ჩვენების მიცემის ფაქტს ან იმ პირის ჩვენება, რომელიც ესწრებოდა ამ მოქმედებას. შესაბამისად, კოლეგიას ვერ შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა თ. ფ.-მ საგამოძიებო ორგანოებს მისცა საჩივრის ავტორის საწინააღმდეგო ჩვენება.

5.6 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ თ. ფ.-ის მიერ კლიენტის მიყვანის გამო რეკომენდირების თანხის მოთხოვნასთან დაკავშირებით და იმსჯელა აპეკ-ის 10.3 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

“ადვოკატმა სხვა ადვოკატისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან არ უნდა მოითხოვოს ან მიიღოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია კლიენტისათვის სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისათვის“.

5.7 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში კონკრეტულადაა მითითებული, თუ რას მოიცავს საადვოკატო საქმიანობა: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის,

რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას. ერთი ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის რეკომენდირება საადვოკატო საქმიანობად არ განიხილება.

5.8 ეთიკის კომისიამ გამოცემაში ,,ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", გვ. 125 განმარტა, რომ ,,პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატის პასუხისმგებლობა კლიენტის წინაშე უშუალოა, და ის კანონის ფარგლებში უშუალოდ თავადაა პასუხისმგებელი მის მიერ განხორციელებული პროცესუალური მოქმედების მართებულობასა და მის საფუძველზე მიღებულ შედეგებზე. სხვა ადვოკატის რეკომენდირების შემთხვევაში, თუ რეკომენდატორი ადვოკატი მიიღებს სარგებელს ის უშუალოდ მაინც არ იქნება პასუხისმგებელი რეკომენდირებული ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებით დამდგარ შედეგზე, იმავდროულად დაზარალებულ კლიენტს არ აქვს პროცესუალური შესაძლებლობა, პასუხი მოსთხოვოს და მოედავოს რეკომენდატორს, მითუმეტეს, როდესაც ის უშუალოდ არ წარმოადგენს ადვოკატ-კლიენტის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტს და უშუალოდ არ ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას. მსგავს შემთხვევებში, ადვოკატები დაემსგავსებოდნენ მაკლერებს, რომლებიც დაკავებული იქნებოდნენ მხოლოდ მომსახურეობის შეთავაზებით, ხოლო მომსახურებაზე და მის სათანადოობაზე აირიდებდნენ პასუხისმგებლობას."

5.9 ადვოკატმა თ. ფ.-მ ეთიკის კომისიას წარმოუდგინა 2017 წლის 17 იანვრის განაჩენი მსჯავრდებულ რ. ა.-ის სისხლის სამართლის საქმეში N1/ბ547-15, რომლითაც დასტურდება, რომ თ. ფ., როგორც ადვოკატი, მონაწილეობდა რ. ა.-ის სისხლის სამართლის საქმეში. შესაბამისად, ის თავისი კლიენტის საქმეში საშუამავლო თანხას ვერ მოითხოვდა. წარმოდგენილი საქმის მასალებით კოლეგიას არ შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა თ. ფ.-მ კლიენტის მიყვანისათვის ი. კ.-საგან მოითხოვა რაიმე სახის სარგებელი.

5.10 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი საადვოკატო მომსახურების თანხის დაბრუნების ნაწილში აპეკ-ის 8.15 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი".

5.11 ,,საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“ (ეთიკის კომისიის 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N038/16).

5.12 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისიას არ შეუძლია განსაზღვროს საადვოკატო მომსახურებისთვის რა თანხა უნდა მიიღოს ადვოკატმა, რაზედაც ასევე მიუთითა საქართველოს უზენაესმა სასამართლოს სადისციპლინო პალატამ - „საადვოკატო მომსახურების ოდენობა მხარეთა შეთანხმების საგანს შეადგენს და დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროს მიღმა იმყოფება. პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა“ (2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე დს-შ/17-16). უზენაესმა სასამართლომ ამავე გადაწყვეტილებით იმსჯელა შეთანხმებით გათვალისწინებული მომსახურებისათვის მიღებული ჰონორარის გამოქვითვაზე, ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურების ფარგლებისა და მოცულობის შესაბამისად და მიუთითა, რომ „იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს“. (2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე დს-შ/17-16).

5.13 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა ადვოკატ თ. ფ.-ის მიერ მიღებული ჰონორარის, 3000 ლარის დაუბრუნებლობაში. ადვოკატმა განუმარტა კოლეგიას, რომ მეგობრული ურთიერთობიდან გამომდინარე, მას ი. კ.-ის სისხლის სამართლის საქმეში ჰონორარი არაუღია. ი. კ.-ის ცოლმა გადასცა 300 ან 400 ლარი, რაც იყო სამოძრაო თანხა და არა მისი მომსახურების ღირებულება. კოლეგიის შეფასებით, ვინაიდან მხარეთა პოზიციები განსხვავებულია, ჰონორარის გადაცემის ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება საჩივრის ავტორს. საჩივრის ავტორს, გარდა წერილობითი პოზიციისა, კოლეგიისათვის არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც იქნებოდა ვარაუდის საფუძველი, რომ ადვოკატმა თ. ფ.-მ მიიღო მომსახურების ღირებულება, შესაბამისად, კოლეგია

მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. ფ.-ს არ დაურღვევია გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება.

5.14 არსებულ პირობებში ეთიკის კომისიას ვერ შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატ თ. ფ.-ის მიერ საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ქმედების ჩადენის თაობაზე, რაც დისციპლინურ დევნის აღძვრაზე უარის თქმის საფუძველია. ამავდროულად, ეთიკის კომისია განუმარტავს საჩივრის ავტორს, რომ მას შეუძლია თავიდან წარადგინოს საჩივარი, თუ ის მოიპოვებს და დაურთავს საჩივარს შესაბამის მტკიცებულებას, რადგან ეთიკის კომისიას არსებითად საკითხი არ გადაუწყვიტავს მხარეებს შორის, ამიტომ, ამ პირობებში, არ იარსებებს დებულების 9(ვ) მუხლით დადგენილი საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N093/18 ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ /სიითი N/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/